

ნაგებობების მშენებლობის/გარემონტების პროექტების შეაბამისობის შეფასება
(ძირითადი კრიტერიუმები)

1) ნაგებობის ადგილმდებარეობა და განთავსება განაშენიანებაში

რამდენად დაცულია სოფლის ტრადიციული განაშენიანება? (საცხოვრებელი სახლების და სამეურნეო ნაგებობების განლაგება) [სოფლის გარეთ დაგეგმილი ნაგებობების შემთხვევაში რამდენად შენარჩუნებულია ლანდშაფტის ბუნებრივი დომინანტები]

- *ნაგებობის კოორდინატები სატელიტურ რუკაზე, სიმაღლე ზღვის დონიდან + განთავსების სიტყვიერი აღწერა*
- ზედხედის ფოტო გუგლის რუკიდან ზედხედის ფოტოზე უხეშად მოხაზეთ შენობის სქემა და მიუთითეთ რომელია მასზე მიმბული ეზო/ტერიტორია.
- იმ ტერიტორიის შემოგარენის ფოტოები, სადაც შენობა უნდა აშენდეს (გარკვევით ჩანდეს რა შენობა ნაგებობებია მეზობლად).
- განთავსების სიტყვიერი აღწერა - ანუ რა ტიპის შენობა უნდა აშენდეს, რა ფუნქციით

2) ნაგებობის გაბარიტები

რამდენად დაცულია კონკრეტული სოფლისთვის დამახასიათებელი გაბარიტები [ორჯერ არ უნდა იყოს გადაჭარბებული არც ფართობი არც სიმაღლე]

- *გენგემის მარტივი მონახაზი + ნაგებობის ზომების (სიმაღლის, განაშენიანების ფართის აღწერის ჩათვლით)*

3) სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები

რამდენად გამოყენებულია ტრადიციული მასალები (ქვის, ხის მასალა), მოპირკეთების შემთხვევაში მაინც

- *ფასადის მარტივი მონახაზი მასალების მითითებით + მასალების სიტყვიერი აღწერა*
- უნდა იყოს ადგილობრივი ტრადიციული ქვის მასალით (რიყის, სიპი, კლდის, ხე ელემენტებად)
- ან გარე მოპირკეთება უნდა მოხდეს ადგილობრივი ტრადიციული ქვის მსგავსი ფილით (ხელოვნური საიმიტაციო ან ბუნებრივი ქვის ფილით)
- ან ნებისმიერი ისეთი მასალა რომელიც ვიზუალურად მიახლოებულია ტრადიციულ მასალებთან.

სახურავი:

-მასალა არ უნდა იყოს ამოვარდნილი საერთო ვიზუალიდან. არ უნდა იყოს ძალიან მყვირალა და თვალში საცემი მასალა/ფერი. მისასალმებელია ადგილობრივი ტრადიციული ბანის სტილი.

4) სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები

რამდენად გამოყენებულია ცალკეული ტრადიციული სამშენებლო ელემენტები? [მაგ. სახურავის ფორმა და გადახურვის გარე ფენის მასალა და წესი; ბოძები, ერდო და სხვა ხის ელემენტები; ფანჯრების და კარის ფორმა და მისთ.]

- *ცალკეული ელემენტების მოკლე ნახაზი (ჩანახატი) მოკლე სიტყვიერი აღწერით*

-შიდა ოთახების კედლების და ჭერის მოპირკეთების/გარემონტების დროს გამოყენებული უნდა იყოს ელემენტები ადგილობრივი მასალის (ქვა, ხის ბოძები, ადგილობრივი სტილის კარებები, ფანჯრები და ასე შემდეგ).

5) ენერგო ეფექტურობა

რამდენად გათვალისწინებულია ნაგებობის ენერგეტიკული ეფექტურობა (დათბუნება თუ სხვა გადაწყვეტილება)

- *გადაწყვეტილების სიტყვიერი აღწერა*

-აღგვიწერეთ თუ ითვალისწინებთ ენერგოეფექტურ მასალას და რა სახით.

6) ნარჩენების მართვა

რამდენად გათვალისწინებულია ჰიგიენური წესები და როგორია ნარჩენებთან მოპყრობა (სამზარეულოში, აბაზანა-ტუალეტში)

- *გადაწყვეტილების სიტყვიერი აღწერა*

-აღწერეთ რა სახის ნარჩენები გექნებათ და როგორ მოხდება მათი მართვა (კანალიზაცია, ნაგვის გატანა, სხვა რაიმე სახის ნარჩენები)